

Ուզլունց Կետյանուն Քոցնուն մարդուն զամուշը № 4.

# ԾԱԷԱԾԱ

ԲԹՈՒԾԱՏԱ ԾՈՒԾՈՒ ՑՈՒՅԱՑԵՄԱ

ՀԱՅՈՒ ՀԱ ԱՌԵՍՔԱՆՔՈՒՆԵՍՈ

թ

ԱՃԱՅՈ ՔԱԼԵՎԱԼՈՒ ՋՇԽԱՎԵՄԱ.

տե՛սված ՀԱՅԱ ՑԱՅԱՀԱՅԱ.

(առաջին համար)

— 1900 թվականի ապրիլի 15

ԿՈՏԱԻՍ.

Տիպոգրաֆիա Ի. Կիլաձե և Ի. Խելաձե.

1900.





ივლიანე ხეთერლის წიგნის მაღაზის გამოცემა № 4.

# ტ ე მ ა

წმიდათა დიდთა მოწამეთა

დავით და კონსტანტინესი

დ

ამავე ქალაქის კორჯართა.

37944


თხზულება ლუკა გუბელისა.



КУТАИСЪ.

Типографія И. Киладзе и И. Хеладзе.

1900.



ନାଥନ୍ଦନେଶ୍ୱର ପାତ୍ରଚନ୍ଦ୍ରମାଣି  
ପାତ୍ରଚନ୍ଦ୍ରମାଣି  
ପାତ୍ରଚନ୍ଦ୍ରମାଣି

I.



ରାଜାଲ୍-ଗ୍ରାମ ରଜୁଲତା ମହାରାଜମ୍ଭୁନ୍ଦେତ  
ମତେଳାଙ୍ଗ ତୀରମତ କାରତଳିଷୀବାନତା,  
ଦ୍ୱୟାଳୀ ଲକ୍ଷଣି କମାତା ମଧ୍ୟବାର୍ଯ୍ୟତ,  
ଅନ୍ତରେତ, ମାମାପୁତ, ସିତ୍ତମ୍ବା-ଚିପ୍ଲବାନତ

କରୁନ୍ଦାତ ଦା କ୍ରିଲାପ ମାତ ଶ୍ଵରିଲତା  
ଦ୍ୱାରିବୀଶ ସାମଶୂନ୍ଦର ଶ୍ରେମକୁଳି,  
ପଦେମିଶ ମସଗାଵୀଶ କ୍ଷେତ୍ରାନା,  
ଓରାଙ୍ଗ—ଓରାଙ୍ଗାତ ମହାରତକୁଳି.

ତାରେ ମିଥାର୍ଜୁଶ ଅମା କ୍ଷେତ୍ରିନିଶାଶ  
ଶ୍ଵରିଶ ଲାଲର୍କାନି କ୍ଷିଣିବୀଶ;  
ମତେବିଦ୍ଵେଦା ଗୁରୁମନ୍ଦିରିବାଲ୍ମୀ  
ମହମଦିନାର୍ଜୁନିଶ ଚିପ୍ଲବୀଶ.

გაკე მინდვრები გაშლილი,  
ათას-გვარ სარგებლიანი,  
ზოგი ტყე, ზოგი ღობილო,  
ზვარები მამულიანი.

ქოშკების მსგავსად ურიცხვნი  
მთანი წვერ „აყუდულები“,  
მთებზე სავლელნი ბილიკნი,  
ჰკიბულ-დაკიბულები,

საღაც რომ მოიპოვება  
მაღნები მრავალ გვარია,  
ფოლადი, რკინა, სპილენძი—  
ძვირფასად მოსახმარია.

ოქრო და ვერცხლი, მცნობთათვის  
სიმდიდრის მომნახავია,  
გაკეში ნავთი და მთებში  
ნახშირი დასაწვავია.

ასე რომ—არა სიმდიდრე  
არა აკლია ჩვენს არეს,  
მდებარეობა სხვა ქვეყნის,  
ვერ შეედრება ამ მხარეს.

შიგ მრავალ-გვარი სახელი  
არის ამავე მხარისა,  
რომელთაც უმეტ—ნაკლებოდ  
უნახავთ დღე სიმწარისა.

ზოგს ჰქვიან ამერი, იმერი,  
აჭარა, ქართლი, კახეთი,  
მრევან,—ბაქოს საზღვრად აქვს  
თეთრი ზღვის პირის თათრეთი.

ჩაუ, სვანეთი, კოლხიდათ  
აკენი, ბევრიც მიანნი,  
შიგ იყვნენ გოლიათებრივ  
ხალხნი, გულ მამაცინნი.

აჭარის მოდებ გურია,  
უთქმელიც მრჩება მრავალი,—  
უკველგან დიდის სიმდიდრის  
დღესაც არს შემოსავალი.


თქმული დიდებულ ქვეყნისა:  
საც არს ამ იმერის მხარე,  
მუნ ქვა—კლდეებს ებრძვის ერთგან  
ფაზის წყალი მომდინარე.

02 წყლის პირად ერთ ალაგას,  
შალაქია დიდებული,  
3ინ უწყის იგრ. პირველად  
3ისგან არის აღკებული.

სადაც დღესაც სჩანს ნაშთი რამ  
ძველთა მეფეთა დიდების,  
ძოშკ, ციხის, ეკლესიების  
ნანგრევნი ქვის შენობების.

მრავლგზის მტრისგან ჭირნახული  
შალაქია კიდევ მრთელად.  
მუნ ცხოვრება კაცსა შეიქმნა  
ბუნებისთვის მაღლის მთქმელად.

უცხოეთით ჩამოსულნიც  
0ქა ცხოვრობს ბევრი პირი,  
არ სურსთ მუნით განშორება,  
თუნდ რომ ნახონ ხშირად ჭირი.



დასაწყისი ამბავი ჯორჯაძის ასულთა.

## II.



როხელ, რა ცას ჩვეულებრივ  
ბნელი ფარდა გადეფარა,  
და ბრწყინვალე შზის სხივები  
მთა და გორებს მოეფარა.

ივნისის თვის თბილსა ჰაერს  
ზღვის ნიავი აგრილებდა,  
რომლის მაშინ მიგებებას  
მკვდარიც მოიწადინებდა,

მალლა ცაზე მოკაშკაშე  
პარსკვლავები გაშლილიყო,  
მათ სხივებთან მთვარის შუქი  
ძვეყნად ჩამოფენილიყო.

გორაკიდან ბულბულის ხმა  
აღვიძებდა არე — მარეს,  
ხმა ბეღნიერს აზარებდა,  
ბეღ-კრულს დებდა გულს სიმწარეს.

ზემორე თქმულ ქალაქისა  
ხალხი იყო მიწოლილი,  
დიდ-პატარას, ჩვილს და მოხუცს  
შველას ადგა თვალზე ძილი.

მუნვე ერთსა სასტუმროს წინ  
სარბენს იდგა სელიები,  
და ზედ ისხდნენ ახალ ნორჩი  
ჯორჯაძისა ორი დები.

იცქეროდენ ფაზის წყლისკენ  
და აძლევდენ ხმაურს სმენას,  
ურს უგდებდენ ბულბულისა  
შეფა, კვნესა, ჭიკჭიკ-სტვენას.

იმ დროს მათში უფროსმა დამ  
ნინომ ლოთხრა მარიამსა:  
„გახარებ ერთს კარგსა აშბავს,  
თავ-შესაქცევს და საამსა.

„აქ მახლობლად მონასტერი.  
არის ერთი აგებული,  
მგონი, შენცა უნდა გქონდეს.  
მოწამეთა გაგებული.

„**მამა** მიღის ხვალ იმ ალაგბა,  
**უნდა** ნახოს წმიდანები,  
**პსთხოვოთ** ჩვენის წაყოლისთვის  
**ჰქმნას** მან სიტყვა ნაბრძანები“.

**მარიამ** ჰსთქვა: „გამიგია,  
**იქ** არიან წმიდანები,  
**უკეთურთა** თათართაგან  
**ძველი**, ყრუ დროში ნაწამები.

**მაგრამ** ვრცლად მათი ამბავი  
**ნეტა** ვისმე თუ სმენოდეს,  
**ჰმნას** ლმერთმან, ისტორიკოსი  
**მათი** ჩვენ ალმოგვჩენოდეს.

**ორივემ** ეს ნატვრა ერთად  
**ორ** გზის, სამ გზის განიმარტეს,  
**წაყვანისთვის** მამის თხოვნის.  
**აზრი** გულთა ჩაიხატეს.


**იმა** უამში შუა-ლამის.  
**ხანზე** მეტმა გაიარა  
**და** ქვეყნის მანათობელმა  
**მთვარემ** კარგად გადიხარა.

ნინომ უთხრა: „აშ კი დავწევეთ,  
რომ ხვალ ძილმა არ შეგვიპყროს,  
მამა დილით აღრე წავა  
და ჩვენც მღვიძრად ვიყოთ იმ დროს“.

მარიამიც დაეთანხმა,  
მცირე ლოცვა გადიხადეს,  
შვეშაგებში ერთად დაწვენ,  
როს კაბები გაიხადეს.

ჩვენება მარიამისა..

III.



ძრავად არს მთლად ოჯახი  
შოვლი არსი მუნ მდუმარებს,  
გინ განარჩევს, თუ მარიამს  
ჩვენება გულს ვით უხარებს.

ნახა თეთრად გაწყობილი  
მის წინ მჯდომი ყრძა ფრთოსანი,  
ცნო, არ იყო ის მუშაკი,  
არც მეფე და არც მგოსანი.

რა შეხვდა, პირველ დაფრთხა,  
ჰსონება: „ვინ ხარო შენ აქ მჯდომი“,  
ის პასუხობს: „ნუ ძრწი, გითხრა,  
რისაც იყავ წელან მდომი.

ჰე, ქალწულო, დაჯექ წყნარად,  
მკრთალი გული დაიმშვიდე,  
მოწამეთა ამბავს გეტყვი;  
შენ გთხოვ, ნათქვამს დაუკვირდე.

როცა ქრისტემ ჯოჯოხეთით  
ცოდვილნი ამოიყვანა,  
მას შემდეგ მოციქულებმა  
გაიყვეს მთელი ქვეყანა.

სურდათ მაცხოვრის ბრძანების  
საქვეყნოდ გაგებინება,  
შეშმარიტების და სწორის  
რჯულისა შეგნებინება.

ურჯულოების დათრგუნვა,  
ძირიან მოსპობინება,  
კერპების თაყვანის-ცემის  
ხალხთაგან გაგდებინება.

მაშინ ქართლოსის ქვეყანა  
გახდა მღვთის მშობლის წილია,  
რომ მისგან დადგენილიყო,  
აქ ქრისტეს წმინდა სჯულია.

განყოფილობის წინარე  
სვიმონი კანანელია,  
შავი ზღვის პირად მოვიდა  
ხალხთ მომქუცევ—მომნათვლელია.

გაგრამა კერპთ მსახურთაგან  
იქმნა ის შეპყრობილია  
და ტანჯვით მისის სიკვდილის.  
ჰყვეს წესი დადგენილია.

განყოფის ლამეს ქალწული  
იქმნა ღვთით შეგონებული,  
და გახდა იერუსალიმს  
ადგილობ გაჩერებული.

მის ნაცვლად ძლევა-მოსილი,  
ანდრია მოციქულია,  
ხალხთ უჩინარი, ნავითა  
იქმნა ზღვას გამოსულია.

გან გამოიხსნა სვიმონი,  
ზელი მოჰკიდეს ერთმანერთს,  
ძურნავდენ ყოველგვარ სნეულს,  
შეავედრებდენ გამჩენ ლმერთს.

მათ საწაულით შემუსრეს  
პერპთა ტაძრების კარები,  
პერპნი დალეწეს, დანათლეს  
მატყუარ ჭურუმთ <sup>1)</sup> მთავრები.

ხალხი სულ მოინადირეს,  
სცეს ყველას ნელსაცხებელი <sup>2)</sup> ,  
ბოლოს ამ მხარეს მოშორდნენ,  
მტერთაგან ხელ-უხლებელი.

რა ისინი გარდავიდნენ  
საქართველოს საზღვრის გარე,  
და მოძიეს მოსაქცევი  
სხვა ქვეყნების არე-მარე,

ატყდა ყოვლგან ხატთაბრძოლა,  
შრისტიანთა კვლა, წვალება:  
პერპთ მსახურთა არა ქონდათ  
მართალ ხალხთა შებრალება.

სხვათ რიცხვთ შორის  
არაბეთში იყო მეფე მაჰმედი,  
რომელმანცა სულ ძირს დასცა  
საბერძნეთის ყოვლი ბედი.

დადგინა თვისი რჯული,  
პერპი შექმნა სათაყვანოდ,  
ამოწყვიტა, ვინც რომ იგი  
რჯული არ სცნო სწორ-სარწმუნოდ.

ნოლო შემდეგ სიკვდილისა  
ურწმუნოის მაჰმადისა,  
ნათესავი მას მურვან ყრუ  
დარჩა, შვილი თვისის დისა,

რომელსაცა დაუტოვა  
თვისი რჯულის დებულება,  
და მთლად მისის სამეფოის  
ხელმწიფობა და უფლება.

მან დაიწყო თვისი ბიძის  
რჯულის ქვეყნად გავრცელება,  
შრისტიანთა გათათრება,  
წვა, დახრჩობა და წვალება.

ალილაშქრა ქრისტეს სჯულზე,  
მოსრა სომხით—საბერძნეთი,  
ჰეშმარიტის რჯულის მცველი  
არ გაუშვა მთხრობლად ერთი.

ვინც მამადი არ ირწმუნა,  
ტანჯვა გვემით გაასვენა,  
ზოგი დასწვა, ზოგი დასჭრა,  
ზოგს პირს ამოაძრო ენა.

სომხითი და საბერძნეთი  
რა კი მოვლო უვნებელად,  
საჭართველოს მოუსია  
ჯარი გამწყვეტ-აღმომფხვრელად..

ქალაქები დაანგრია,  
ტაძრებს ცეცხლი წაუკიდა,  
ხალხი მოსრა, ვინც გაიქცა  
მათც მდევარი გაუკიდა.

სხვათ რიცხვთ შორის მოაწია.  
სპამ არგვეთის სოფლის მხარეს,  
საც მთავრობდნენ თრნი ძმანი,  
უფლობდნენ იმ არე-მარეს.

შეტროს ძმასა დავით ერქვა  
და უმცროსსა ჭონსტანტინე;  
არ ყოლიათ კოლნი, შვილნი,  
არცა სხვა ძმა მონაწილე.

ანდრია და სვიმონისგან  
ჰქონდათ რჯული მიღებული,  
ურყეველად სასოებით  
იყვნენ მაზე რწმუნებული.

ახოვანნი დიდ გმირებად  
შავდნენ მთელ ხალხს წოდებული;  
სიტურფე და მშვენივრობა  
ჰქონდათ ქებულ — დიდებული.

ჩალწულ იყვნენ, არ იცოდნენ  
დედა-კაცთა გემოვნება,  
მუდამ ლეთის ლოცვაზე იყო  
მათი გულის მოგონიბა.

და წყეული მურვან ყრუის  
ჯარი მათთან მიახლოედა,  
მაშინ დავით თვის სამთავროს  
მცირე სპათა მოიწვევდა.

ალიჭურვნენ <sup>3)</sup> ორნივ ძმანი  
და აღიდეს შემოქმედი,  
მაცხოვრის წინ სალოცველად  
მოიხარეს მათი ქედი.

ამ სოფლიურ ცხოვრებასა  
შეექციეს მათი გვერდი,  
სულ ამაოდ დაამტკიცეს  
აქ სიტკბო და კარგი ბედი.

შეიმოსეს ძალი ღვთისა  
და გალობდნენ დავითის თქმულს,  
ოდეს დავით შეტყორუნიდა  
ზოლიათსა ლაპვრად შურდულს.

გალობა დავით წინასწარმეტაველისა, ოდეს  
მან მოკლა გოლიათი.



მცროსი ვიყავ ძმებ შორის  
და მორჩილი ოჯახისა,  
მინდორ ველებში დავრბოდი,  
ვალად მჯონდა წყესვა ცხვრისა.

„საკრავი რამე შევჰქმენი,  
ტყო საკვირველ ხმოსანი,  
უსულო ისრე ვამღერე,  
ვით ნიჭიერი მგოსანი..”

„მისი ხმა/ ლმერთმან ისმინა,  
ანგელოზი მომივლინა.  
და საკმაოდ ნიჭი დიდი  
ზონებაში ჩამიფრინა..”

„ანგელოზმა შუბლს ზეთი მცხო,  
ცხვრის მწყესობას მომაშორა,  
წინასწარ-მთქმელად დამნიშნა,  
ძმანი აღარ განმისწორა.”

„მე ძმები მყავდნენ კეთილნი  
და უფროსნიც ჩემზე ხნითა,  
მაგრამ მათ არ ხვდათ მეფობა  
ზამჩენ-ლმერთის დაწიშვნითა.”

„შემთხვევა შემხვდა, გავედი  
შვეუნის მტერის შესაბმელად,  
რომელიცა თვის კერპს სთხოვდა  
და მე მომდგა გულით მწყევლად..”

„**მას** წავართვი ხმალი მურელი,  
**მით** მოვკვეთე თანი მისი,  
**იმითი** მოვსპე მტრისაგან  
**ლანძლვა** სულ ისრაილისი“.

**ომი დაცით და კოცეტანიესი.  
 მაჟაღიანიანიან.**



აასრულეს რა გალობა,  
 დავითის მიერ თქმულია,  
 ჯარს უთხრეს: „რჯულის დჟცვისთვის  
 მოგვივა სიხარულია“.

**მაშინ** მათთან მიახლოვდნენ  
**მაჟმაღიანია** მორწმუნენი,  
**ბუკსა** ჰეცემდნენ და ერიშით  
**შეიქმნენ** მუნ მინარბენი.

**შრისტიანთა** სახელი ღვთის  
**იქონიეს** ომში ფარად;  
**ურთი—ერთი** განამხნევეს;  
**აიმედეს** ათას გვარად.

მოსისხლეებს თურქ—არაბებს  
შეუტიეს მათ გმირულად,  
მსხვერპლად თვალეს მათი თავნი  
ქრისტეს ოჯულზე შეწირულად.

თუმცა რიცხვით ქართველები  
არ იყვნენ მტრის შესაღარი,  
მაგრამ ათ გზის მათზე მეტი  
მოსრეს იმ ყრუს წინა ჯარი.

ჩამდენიმე გაქცეულნი  
არაბების რაინდები  
მივიღნენ და ყრუს უამბეს  
სიტყვა არ მონარიდები:

„დიდებულო! ამათ მსგავსი  
არ შეგვყრია მბრძოლნი სხვანი,  
მრთიანად ამოწყვიტეს  
მოწინავე ჩვენი სპანი.“

ხოლო მან განრისხებულმან  
გედგრად იკრა თავ-პირს ხელი,  
ჰსოჭვა: „მითხარით, ვით მომხდარა  
ეგე საქმე საკვირველი?“

„**Յ**օն ահօան օցո პօրնօ,  
հօմյ գմօծյն մուրովյլսա,  
հյմի լքուս, ժմաս լուսա մաքմաճս,  
**Զ**ա լալցընոլս մօսցան հչյլսա.

„**Զ**արլզոյես հյմօ Շյոօծա,  
Շյմօմպօրյես Շինա ցյնճօ!?  
Ֆյատ օմատա, Ցոցօ մոյալտ,  
Ցոցս ոյեթ Շյոյարյտ եյնճօ.“

Ես Տոյվա լա պըությո Տըատա  
Տաօմրօս եմոտ Շյոյսածա  
Ը յրտցյլած ռմօս նըօմիա.  
Շյըլաս ցյլ՛մո հայսածա.

Եօսլոս մօցացսած ցալցյտարա,  
Տատրօս չարո ամա մեարյես,  
Ճր՛յոնբալյ դռյ դաշճնյլճա  
Ամ Տամտացրօս արյ—մարյես.

Արցըտլյօթօ մըորյ ոյցնյն,  
Ցյրը Շոռածճնյն Տեցա մօմեմարյես,  
Թացրամ մանց ժլոյը Ճրժռաճնյն,  
Ըենած Քտցլուճնյն մատ Տօմ՛յարյես.

შონდათ ჩეხვა, კვლა და სრესა  
ორთავ მხარის მეომარეს.

ცხენ-კაცთ ვით ტბა ოცურებდა,  
რაც რომ სისხლი მათ დაღვარეს!

მაგრამ, რაკი კერპთ მსახურთა  
რიცხვი აღარ ეგებოდა,  
ძრისტიანნი არაბების  
მეასეც არ შედგებოდა

იმ ურწმუნო წარმართებმა  
სულ ამოფხვრეს არგვეთლები,  
ააოხრეს მთელს არგვეთში  
ციხეები და სოფლები.

მტრის სიმრავლემ ქართველთ სძლია,  
მთავრის შვილნი დაიჭირეს.  
ხმალ-აბჯრები ჩამოხადეს,  
მკლავთ ბაწრები მოუჭირეს.

რა ესმა ბილწსა მურვან ყრუს  
შეპყრობა წშიდან ებისა,  
ხელი აღაპყრო, ადიდა  
მაჰმადი, ძმა თვის დედისა.

რჯულს თვისსა დიდად აქებდა,  
ესრეთის გამარჯვებისთვის,  
დალჯიზე მჯდომა ბრძანება!  
გასცა ყრმათ მიყვანებისთვის.

რა დავით და პონსტანტინე  
ყრუს წინაშე წარადგინეს,  
ხელ შეკრულნი გააჩერეს,  
ნამგზავრნი არც დააჯდინეს,

მან წყეულმან გაიცინა,  
ყრმათა უთხრა: „მითხართ, ვინ ხართ?  
ავრე უგნურ გამსაზღვრელნი  
სად მხარეზე გამოზღილხართ?

„ვით გაბედეთ ჩემთან ომი,  
ჩემს ჯართან ხმლით გასწორება?  
არ იცით, რომ ძლავრ მურვანსა  
მთლიად ქვეყანა მემონება?

ან არ უწყათ, მოციქულის,  
დიდ მაჰმადის ვარ დისწული,  
რომლის რჯულსა მსახურობენ  
არაბ-სპარსთა ყოვლი სული?

„და მე ჩემის სიმძლავრითა  
დავიმონე მთლად ქვეყანა:  
დასავლ, აღმოსავლეთ შორის.  
პარვინ შემხვდა ჩემისთანა.

„ურჩნი მიწას გავასწორე,  
შევანანე შეცოდება,  
მორჩილ ქმნილნი გავახარე,  
მივეც დიდი გვართ წოდება.

„თქვენ, მსახურნო ხატებისა,  
მაკადრებლით მე შემობმას.!  
აწ სიცოცხლეს გაპატივებთ,  
თრუმც იქთ თქვენის რჯულის გმობას“.

მათ მიუგეს: „ექ ქადილი  
შენი, ჩვენთან ამაო არს,  
ფიქრი შენს მორიდებაზე  
გერ გაიღებს ჩვენს გულში კარს.

„რამეთუ შენი ცხოვრება  
ჭუთის უამის არს ამ სოფლად,  
იქ ცეცხლში ვეშაპ მხეცებთან  
ბინა გექმნება სამყოფლად.

„რაცა გაქვს შენი ღიდება,  
ჟოველნი განჭარდებიან,  
მშმაკთა ხელით გამომსხნელ  
არავინ გაგიჩნდებიან.

„არა ღირსების და ძალის  
შენისგან ვართ ჩვენ ძლეული,  
რისგან რა მოხდა, რამ გვიყო,  
ძარგად გვაქვს გამოკვლეული

„ჩვენის ცოდვისგან შეგვიდგა,  
რა კი გარდავხდით ღვთის მცნებას;  
საწვრთნელად და მისს საცნობლად  
ღმერთმან ჩაგვაგდო ამ ვნებას.

„სურს, თქვენ ურწმუნოთ ხელთაგან  
წამება მიგვალებინოს  
და ჭეშმარიტი ღვთაება  
მისი ჩვენ გაგვაგებინოს.

„დედის ძმას შენსას მაჰმადის,  
იქადი რომლისა მიერ;  
მგ საჭადელი ყოველი  
ცუდ სიცრუეა სულ ძლიერ.

„ Յուրօտ, մաշնուրո մաքմադո  
Քյեծելո օպո տազոսա,  
Թենծլազո լա Շամիչպեղուլո  
Ծյշենոսա նատեսազոսա.“

Եռլոշ և յեմա մժլացը մշո՞րանէ  
Մմուլատա յցրետ տվյմուլոօ,  
Ըամոս ցապոյլա, ոմ Քոմաճ  
Ալյազո Շեմոտ ցուլոա.

Ճարոս յապրեմսա լոծրմանա;  
Օեզոր-Հորմո յըսատ պրմատատզոս,  
Ճալատուպ պրմըս մտացրոս մըտ,  
Տահարլաճ պոզլ մնանցըլտատզոս.

Եռլոշ Իրանջուլնո ռոնովյ  
Վրտ-ցվարոս Տարանջազըլուտա,  
Վզըլընընունեն ցամից լոյերտս  
Ցուլուտա մաժլոնծըլուտա.

Ոտեռզօդնեն մոտմոնցիս ժալու  
Ցյուլուտա մովիպալուցիտա,  
Կոմ Տյուլուպ առ Ըաթանջուլատ  
Վանց—Տարանաս ցնցիտա.

მაშინ პრქვა მძლავრმან ურწმუნობ  
სიტყვები რისხვებიანი,  
„თქვენ გამიწყვიტეთ ლაშკარნი,  
რჩეულნი, აბჯრებიანნი.

„ამ ურკებვინოთა ახსენებთ  
სახელსა მოციქულისას,  
დედის ძმის ჩემის მაჰმადის,  
სპარსეთში ღიდებულისას.

„ვით დავთმო თქვენი ამდენი  
ურჩობა, წინ-აღმდეგობა;  
მაგრამ, ეგეც ვსთქვა, რომ მოგკლათ,  
მით ვნახო მე რა მოგება!“

ამ სიტყვის შემდეგ მიმართა,  
მაცდურად დავითისაკენ,  
უთხრა: „რაც მოვლე მხარენი  
აღმოსავლეთის მხრისაკენ,

„ვერ ვნახე ვერვინ შენებრი  
გაბედულ მთქმელი ენისა,  
რომ პირად ჩემთვის სიტყვები  
მთქვა რამ გულის წყენისა.

„ბიუან მე შენის სიტყვებით,  
ხარ ვინმე გმირთა-გმირია,  
სახელისათვის ჩალად გიჩნს,  
რაც უნდა შეგხვდეს ჭირია.

„შოთილხარ მეტად ჭკვიანი,  
საქებრად გამოზრდილია.  
და თავი ამა ქვეყნისა—  
ომებშიც გამოცდილია.

„აწ ღა ისმინე კეთილი,  
ჩემს გულში განძრახულია,  
მეთანხმე და მოგირჩინო  
შოველი გულის წყლულია.

„ბირჩევ, განაგდო ცუდი და  
ამაოდ სიტყვა სათქმელი,  
მომსპობი შენი სიცოცხლის,  
შდროვოდ მიწას დამფლველი.

„დაემორჩილე რჩეულ რჯულს.  
დედისა ძმისა ჩემისას,  
სპარსეთში ქებულ დიდებულ  
მაჰმადი მოციქულისას.

„მე ალვამალლო სახელი  
თქვენი ვრცლად მთელსა სპარსეთში,  
მენ გყო წინამძღოლ სარდალი  
შოველსა ჩემსა ლაშქრებში.

„ხოლო უმცროსსა შენს ძმასა  
მივსცე პატივი დიდია,  
რომ ჩემს დიდებულ დარბაზში  
იჯდეს, არ ჰქონდეს რიდია.

„შფროსი იყოს ყოველის  
სპარსეთის დიდებულისა,  
ვერ იქმნეს ვინმე მომშლელი  
მაგისა ბრძანებულისა.“

შემდეგ ყრუსაგან ესრეთის  
თქმულ ლიქვნით <sup>5)</sup> ათას გვარისა,  
დავით პირს გამოისახა.  
სახე ცხოველის ჯვარისა.

ჰრქვა: „ლმერთმა ნუ ჰყოს, ბოროტო,  
მძლავრო სატანის მწეობით,  
შენის ლიქვნური სიტყვებით  
ჩვენ რომ დავიცეთ ზნეობიდა:

„დავტოვოთ წმინდა ნათელი,  
ვეთანხმოთ შენს ბრძანებასა,  
მძორი ვახაროთ ნაღიმში,  
სული ჩავაგდოთ ვნებასა.

„ხალხთ მომქუცევ მჭადაგებელად.  
ძე ლვთისა იქმნა შობილი;  
ვინც ის ირწმუნა მეუფედ,  
ცხონდა ყოველი ცოდვილი.

„ჩვენისა გამოხსნისათვის  
შრისტემ მიიღო წვალება,  
ორმოც და რვა დღეს მამის წინ  
ილოცა, ჰესძლო მარხულება.

„მოკვდა, დაეფლა სამარხში  
და ალსდგა მესამეს დღესა,  
ზეცას ამაღლდა და მამას  
მოუჯდა მარჯვენა გვერდსა.

„ქვლავ მოვალს, დიდებით, განსჯათ.  
ჟოველ ცოცხალთა და მკვდართა,  
მოწყალე, მომტოვებელი  
ცოდვათა სულ მრავალგვართა.

„ქვეყნად დატოვა მან თვისი  
შმიღანი მოციქულები,  
ხალხთ მომნათვლელნი, მომქუევნი,  
მუდამ დღე მქადაგებლები:

„მათ მოიარეს მთლად პირნი  
შოველის ქვეყანისანი,  
მოინადირეს, დანათლეს  
მსახურნი კერპებისანი.

„აქაც მოვიდნენ მათგანნი  
ორნი დიდ მოწაფენია,  
შვეს წმიდა სჯული შრისტესი  
ივერზე მონაფენია.

„ჩვენ მათ მიერ განსწავლულნი,  
მონათლულნი ემბაზშია,  
ვიცით, გავძლებთ ლვთის მწეობით.  
შოველ გვარსა სასჯელშია.

„არაფრისთვის არ იქნება,  
მშმაკმა დასძლიოს ჩვენს გულს.  
და შევუდგეთ სატანისგან  
მოპოებულს რამე სხვა სჯულს.

„მზათა ვართ მუდამ შრისტესთვის  
მიღებად ყოვლის წვალების,  
გვემის 6), წვის, ხეობის, სიკვდილის,  
ათას გვარ დიდის წამების“.

მურვან სთქვა: „მე გულითა მსურს  
თქვენი კეთილი დღეობა,  
თქვენ კეთილის წილ ბოროტს ყოფთ,—  
რამ წაგიხთინათ ზნეობა?!..

„მე შრისტეს თქვენსას არა ვგმობ,  
იყო წინასწარმეტყველი,  
მეცნიერების მექონე  
და ენა გამომეტყველი.

„ჩვენს ყურანს შიგაც სწერია;  
ძაცი წყნარი და მშვიდია,  
მარიამის ძე იესო  
ბონაერია დიდია.

„შეცდა მით, რომე ძედ ლვთისად  
თავი მან ქვეყნად იწოდა  
და ენის მოქალაქობით  
ქვეყანა რომ მიიწოდა.

რაისათვისაც ურიათ  
შვეს ჯვარზე მიღუსპნებული,  
ის მოკვდა, მოწაფეები  
გაიქცნენ შეშინებული.

„ხოლო თქვენ დიღსა მაჰმაღსა  
გმობთ და აგინებთ რომელსა,  
იმან ღვთაება აუწყა  
სპარსთ და არაბეთს ყოველსა.

„გამოიყვანა ყოველი  
ცეცხლისა მსახურებიღვან,  
დაუდვა კეთილი რჯული,  
ცწორ ღმერთის შეგონებიღვან“.

დავით მიუგო: „ერთა არს  
ღმერთი, გამჩენი ქვეყნისა,  
მოწყალე, კაცთა შემბრალე  
ცილოსოფოსთ და რეგვნისა.

„ერთგვარად უსვამს იგი ცელს  
სრულებით მთელს ქვეყანასა,  
ურწმუნოს წაწყმედს, მორწმუნეთ  
მიჰსცემს იმ სოფლად ლხენასა.

„თქვენი ყურანი, რომელიც  
რჯულის კანონად გიპყრიესთ,  
შემცდარხართ, როცა სარწმუნოდ  
მისი რამ დაგიჯერიესთ.

„შოველი მასში ნაწერი  
არს თქვენი მაცდუნებელი,  
ზულში ბოროტის ჩამრგველი,  
ქეთილის შემძულებელი.

„ბაძაგებსთ გამჩენ მეუფის  
ჭმინდასა სახარებასა,  
თქვენ ვერ მიმხვდარხართ, ყურნისგან  
რამ ჩავარდებით ვწებასა.

„მაჰმადეა და მის მოწაფემ  
დაგიწერათ წიგნი ისა,  
თქვენ ირწმუნეთ, რა ვერ გემცნათ:  
წიგნი არცა ძალი ლვთისა.

„ცეცხლის თაყვანის-ცემიდგან  
თუმცალა კი მოგაქცივნათ,  
მაგრამ ჭეშმარიტ ლვთის სჯულის  
გზაზე ვეღარ დაგადგინათ.

„**მე** საქმე სწორედ წაგავს  
**ფუჭად** მშრომელ მენავისას,  
**რომელიც** თვით უწროვნელ იყო,  
**არც** ისმენდა სიტყვას სხვისას.

„**აშ** აგიხსნა მაგალითი  
**იმ** ჯიუტი მენავისა,  
**რომელმაც** ჰყო სამწუხარო  
**სხვების** და თვისიც თავისა.

„**აღელვებულ** ზღვის ტალღებში.  
**ნავი** იყო მომცურავი,  
**შიგ** ხალხი იჯდა მიჰქონდათ  
**სიმდიდრე** რამ უთვალავი.

„**მენავისა** დიდის შრომით  
**ხმელეთის** პირს მიწევნილი  
**ხალხი**, ღმერთსა მადლს ჰსწირავდა  
**მხიარული** ქონდათ გული.

„**იმ** ღროს ნავი იმ მენაკეშ  
**მოაბრუნა**, მოაქცია,  
**ძალად** კუნძულს დაატაკა,  
**დალუპა** და დააქცია.

„შუა ზღვიდან გამოსული  
ნავი, ნაპირს დანთქმულ იქნა,  
ჰსოვი, მენავის შრომისაგან  
სასარგებლო რა შეიქნა?

„გეთი არს იგი საქმე,  
რაცა რომ თქვენ შეგემთხვიათ,  
რადგანც ჭეშმარიტ, და რჯულზე  
ხელი ვეღარ მიგიშვდიათ.

„შრისტეს შოსვლისთვის წინარე  
წინასწარ მთქმელნი იტყოდეს  
და ყოვლი მამათ მთავრები.  
მუდამ დღე მას ქადაგობდეს.

„მაგრამ მაჰმადმა მეუფე  
თვისის შეცდომით ვერ იცნო  
და ცოლმილება თავისი,  
ვერ იგულისხმა, ვერ იგრძნო;

„თვით თავი თვისი და თქვენცა  
ცეცხლთა მონებას გაგყარნათ,  
მაგრამ გზას აკდა ბოლო დროს  
და ჯოჯოხეთში ჩაგყარნათ“.

მაშინ პრეზა მქლავრმან დავითსა:

„არ ღირსო ცხოვრებისაო.

თავ-კადნიერო, უტეხო,

გთქმელო ცუდ სიტყვებისაო.

„გინ გასწავა წიგნი ჩვენი,

რომ ურწმუნოდ ჩაგითვლია

და მკიცხველად საბაასო

სიტყვები რომ მოგითვლია“.

დაგით მიუგო: „მე თქვენი

წიგნი, არა რად მწადიან,

არც სახმარია ის ჩემთვის,

არც არად დამჭირდებიან.

„მხოლოდ ვახსენე, მე, თქვენის

შეცდომის სამხილებელად,

ჩემსას არ ისმენ, გახდები

თვით შენის თავის მვნებელად“.

მაშინ მივიდა მურვან-ყრუ

ახლორე ქონსტანტინესთან,

და უთხრა: „ყრმაო, სთქვი; აზრთან

მიწევნილი ხარ რომელთან?

„მორჩილი ხარ? ჩემის ბრძანების,  
რომ ქვეყნად დარბაისლობდე,  
თუ გირჩევნია მეურჩო  
და მუდამ ტანჯვით წვალობდე?“

პონსტანტინემ პასუხი ჰსთქვა  
შრუს გულისა შესაზარი:  
„იცოდე, რომ ვერ შემაბროთხობს  
ტანჯვით ყოფა, ვერც სამარი.

„მე კაცი ვარ ვით დავითი,  
ძრისტეს რჯულზე განსწავლული,  
სახარების სიყვარული  
სულ გულში მაქვს გამჭვალული.

„ნუ იყოფინ იგი ჩემგან,  
რომ ვემონო შენებრ მავნეს,  
სოფლად ტკბობისთვის მოვშორდე  
დათის სიტყვას და მის სავანეს.<sup>8)</sup>

„თანხმად მისა მეცა ვამბობ,  
გით ჰსთქვა ძმამან ჩემმან დავით,  
მზად ვარ ლვთისთვის მოვითმინო  
ჟოვლი ჭირი, ჩემის თავით“.

მაშინ განრისხდა ურჯულო  
და მოუწოდა მტარვალთა,  
უწყალო გულის მქონებელთ  
და არ შემბრალეთ მართალთა.

გისცნა წმინდანნი ხელთ მტარვალთ  
და თან უბრძანა საჭმნელი,  
რომ ათ დღეს არა მიეცათ  
მათთვის რამ საჭმელ-სასმელი.

ჭამალის გემოს მნახველნი  
წმინდანნი არ შექმნილიყვნენ  
და თან ყოველ დღეს ას გვარი  
სატანჯვლით დატანჯულიყვნენ.

რათა მრავალის ტანჯვითა  
უზომოდ შეწუხებულნი  
უნებლიერთად ქმნილიყვნენ  
თათრის რჯულს შეთვისებულნი.

წმინდათაც განვლეს ის ათ დღე,  
ლოცვითა და ვეღრებითა,  
არ შეეცვალათ გუნება,  
ისრეთის შეწუხებითა.

გმირულად შეხვდნენ ყოველ გვარ  
მტრისაგან ტანჯვა-წვალებას,  
შიმშილ-წყურვილთან უწყალოდ  
რტყბევას და არ შებრალებას.



V

დესპანის<sup>9)</sup> გაგზავნა მურვანისაგან  
ჭმინდანებთან.



ესრულდა მთელად ათი ღლე იგი;  
ურშმუნოსაგან ბორჯად თქმულია,  
მოიხმო მან, ყრუმ, თვისი მისნები <sup>10)</sup>,  
მეცნიერებად წოდებულია.

მრთად გაგზავნა მოწამეებთან,  
დასაქმა, რომე მხიბლავის ენით;  
ჭმინდანებისთვის გული ეცვალათ,  
ან მოფერებით და ანუ წყენით.

მრავალნაირი შეგონებიდან  
ჭესზე მაჰმადის დაფუძნებულზე  
ბადაეყვანათ ორნივე ძმანი  
და მოეწყვიტათ მაცხოვრის რჯულზე.

ამის მსმენელნი, ლეთის მოძულენი  
მისანნი არაბ-სპარსეთისანი,  
წავიდნენ მსწრაფლად და მსურველ იყვნენ  
ქმნის მურვან-ყრუის ბრძანებისანი.

მივიდნენ, ნახეს წმინდანნი ერთად  
საპყრობილეში დამწყვდეულები,  
რომლებიც იყვნენ ტანჯვა-წვალებით  
დამჭკნარნი და ხორც განლეულები.

მისანთა იხმეს მათი მტარვალნი  
და განრისხებით უთხრეს სიტყვები;  
„ვითა აკადრეთ ამ დიდებულებს  
შეურაცხ-ყოფა და ეგ ტანჯვები.

„მსენი ფრიად წარჩინებულნი  
დიდ ოჯახისა შვილნი არიან,  
რომლების ბრძოლას ომობის დროზე,  
სხვისი ვერ ვისი შეეღრებიან.

„ანუ არ უშეით, რომ დიდ მურვანს  
უნდა ამათთვის ჰატივისცემა,,  
არა, თუ რამე ტანჯვა წვალება  
და უმიზეზოდ ცხვირ-პირში ცემა!“

„ მერე მიუიღნენ წმიდანების წინ,  
„ შამბეს აზრი მოფიქრებული:  
„ მთელის სპარსეთის და არაბეთის  
მფლობელიდგან ვართ მოგზავნებული.

„ ზითვლისთ მურვანი, ჩვენცა ვეუბნვით,  
„ რომ ვიცით თქვენი კეთილ გონება,  
„ ამოდენ ხანსა განიზრახავდით  
მას, აწ რაც თქვენთვის ემჯობინება.

„ დღეს თქვენვე გვითხართ ჩვენ ჯეროვანი  
სიტყვა კეთილი განზრახვიანი,  
„ არც ააშფოთოთ ქვეყნის მფლობელი,  
„ შოვლისფრით სავსე დიდებიანი.

„ თქვენს ახოვნებას და სიჭაბუქეს  
„ წარსწყმენდთ მკვდარის მოძღვარისათვის,  
„ ძაცისა ერთის; ქვეყნად დასჯილის  
„ ნაზარეველის, იესოსათვის.

„ ტანჯვა-წვალებას, უდროვოდ სიკვდილს  
არჩიეთ ქვეყნად დიდი უფლება,  
„ თქვენს ხელთ იქნება მთელი სპარსეთის  
სპა, ქონება და დიდებულება.

„მორჩილ გაუხდით დიდსა მურვანსა  
და მოიქეცით მაჰმადის რჯულზე,  
რომ ერთად ჩვენთან შთაბეჭდილებით  
გაწვევდესთ გული მისს სიყვარულზე.

„გვეწყალვის თქვენი კარგ სიჭაბუკე,  
სიმხნევე ქვეყნად — წარჩინებული,  
მისთვის გეუბვნით, გვისმენდეთ ნათქვამს,  
ტქმნეთ ჩვენს რჩევას დაჯერებული.

„ზინადგან დიდი სპარსეთის მფლობი,  
პატრონი მთელის არაბეთისა,  
დისწული სპარსთა გამნათლებელის  
მოციქულისა გამჩენ ღმერთისა.

„გიბრძანებსთ, თქვენუა დაემორჩილეთ,  
მისთვის ვართ თქვენთან წარმოგზავნილი,  
და საბოძვარიც ჩვენვან მიიღეთ  
მურვანის ხელით გამოგზავნილი”.

რა ესე უთხრეს, მიიღეს მრავალი  
სამეფო წესის ტან-საცმელები,  
რომლებზე ესხა ძვირფას-ძვირფასი,  
თვალ-მარგალიტი, ფას-უთქმელები.

თან მრავალ გვარი სხვა და სხვა ნივთი,  
თვალთ სანახველად საკვირველია,  
ზოგ-ზოგი იყო იმ დროს ხელობის  
და ზოგი უფრო ძველთა-ძველია.

მოართვეს ყრმათა და უამბობდნენ:  
„ჰა, ყოველივე მისეულია,  
ფუფუნებითა იცხოვრებთ მუდამ,  
ოლონდ შიიღეთ ჩვენი რჯულია“.

მსრეთ ლიქნითა მოსაცდუნებელ  
ათას გვარ სიტყვებს ეუბნებოდნენ,  
ვით მოყვარული მშობლები შვილთა  
ურჩევდნენ, კიდეც ეხვეწებოდნენ.

მაშინ წმინდათა მიხედეს იმათ  
და უთხრეს სიტყვა გადაჭრილია:  
„გინაიდგან ხართ თავით ბოლომდე  
უგუნურ ხალხში გამოზრდილია.

„თვით არა იცით, რასაცა გვირჩევთ,  
თქვენ მორწმუნენო მზაკვარისაო,  
მუპრ-გენიაში სულის მიმცემნო,  
დამტოვებელნო სამოთხისაო..

„**ამისთვის დიღსა არას განვაგრძობთ  
სიტყვასა ჩვენსას თქვენდა საამბოდ,  
მოჭრილად გეტყვით: ვერას წაიღებთ,  
თქვენს გამომგზავნთან, მისდა საამოდ.**

„**შეშმარიტებით კვლავ იმას ვიტყვით,  
რაიცა პირად იმ ყრუსთვის გვითქვამს:  
შრისტეს რჯულს თავი უნდა შევწიროთ,  
მს აზრი სიყრმით ჩვენ გამოგვითქვამს.**

„**ვერა რა სოფლის დიღმა დიღებამ,  
გინდ ჭირმა ძნელად გადასატანმა,  
ვერ განგვაშორნეს ჩვენ მისს სიყვარულს,  
სიკვდილის შიშმა და ვერც საკანმა;**

„**განმზადებულ ვართ, გულმედგრად შევხვდეთ  
წვალებას, ტანჯვას, შიმშილ-წყურვილსა,  
დამწველსა ცეცხლსა, დამხჩობსა წყალსა,  
გინდ ამოღებულ მახვილსა ხმალსა;**

„**და შემდეგ ამდენ დიდ წვალებისა,  
სიკვდილს. მუდმისად დამმუნჯებელსა,  
მხოლოდ ვნატრობთ, რომ ვეყვარებოდეთ  
ძაცთა გამჩენს და მაცხონებელსა.**

„ხოლო თქვენ მიერ გაღმოცემული  
ნიჭი, <sup>11)</sup> დიდება, პატივის ცემა,  
საძულლად გვიჩანს და ვით ეკალი  
შოველ წამი-წუთს თვალწინ გვეცემა.

„ჩვენთვის დიდება, სატრფო ცხოვრება  
და სატრფიალო გულის ყოველი  
პრის მაცხოვარი მხსნელი, ძე ღვთისა,  
ქრისტე, იესო ნაზარეველი.

„აშ თქვენ წარვედით და უნაკლულოდ  
შოველი ჩვენი წარმოთქმულია,  
წაიღეთ ისრე, რომ სიტყვაც ერთი  
პრ ქნათ არა რა დაფარულია,

„უამბეთ თქვენსა მომავლინებელს,  
მაცოთურ მურვან-ყრუს, კაცს უგემურსა,  
ბოროტსა სულსა, მტარვალ-სატანას,  
ღვთის საძულელსა და უკეთურსა“.

ხოლო რა ესმათ მოგვთა და მისანთ,  
შმიდანთა მიერ ესე თქმულია,  
სირცხვილეულნი წავიდნენ ყრუსთან  
გაწმილებულნი, გულ მოსულია.

მურვან იხილეს, სრულად უამბეს,  
წმიდანებისგან დაბარებული,  
და ჭარანავე ესეც ჰყვეს მეტი,  
თავიანთ აზრით დამატებული:

„არ გვაქვს იმედი, რომ ის კაცები  
ჩაიმე საქმით ისრე მოიქცნენ,  
რომ არა თუმცა რჯული დატოვონ,  
მეგობრობისა სიტყვაც რომ მოგცენ.

„ვინადგან იმათ არა ეშინისთ:  
ტანჯვის, სიკვდილის, წამებისაგან,  
არამედ მტკიცედ დგანან მათ რჯულზე,  
შოველის—ღონის-ძიებისაგან“.

როს მოისმინა ურწმუნომ ესე  
მოგვ-მისანთაგან სრულად თქმულია,  
მოისპო გულში მათზე იმედი  
და მოუვიდა მეტად გულია.

გამოაცხადა წმინდათა ჩათთვის  
მან ულმობელი <sup>12)</sup> განაჩენია,  
დაცთა უწყალო მტარვალთ უბრძანა:  
„წა დააყენეთ შავი დღენია.

„პირველათ ტანჯეთ გვემა-ცემითა,  
თავ-დაღმა ფეხით გაღმოკიდეთო,  
ბერმე შეუკართ ხელნი და ფეხნი,  
ჟელს თითო ლოდი ჩამოკიდეთო!

„ისრე ჩაგდეთ ორნივე ძმანი  
დიდსა მდინარეს, ფისონსა <sup>13)</sup> წყალსა,  
რადგან არას გზით არ ცილდებიან  
ნაზარეველსა, ჯვარზე ცმით მკვდარსა!“

მს განაჩენი გამოაცხადა  
შვანკო ძვათა წმინდან ებისთვის  
და თან ბრძანება გასცა ლაშკარში  
სამეგრელოსკენ გამგზავრებისთვის.

პლიძრა ჯარით და დაბანაკდა  
ქუჯის <sup>14)</sup> სამთავროს, მეგრელთა არეს,  
ცხენის-წყლისაგან მოკიდებული  
მიწევნილ იყვნენ აფხაზთა მხარეს.

სულ დაამტვრიეს ციხე-ქალაქნი,  
ხალხს მოუვლინეს დღეები მწარე,  
გამათა სქესი სრულად ამოფხვრეს,  
არვინ არ დარჩა ყრმა მეომარე.

ხოლო იმა დროს მეუფის რისხვა  
შწვია ყრუსა ბანაკს<sup>16)</sup> და ერსა,  
როს არც ფიქრავდნენ, რომ მაცხოვარი  
მოუვლინებდა მათ მაგიერსა.

აბაშიანთა გვარ-ტომიანი  
იყო მთელი სპა რიცხვ უთქმელია,  
რომელთა ომის გამსწორებელნი.  
არვინ ყოფილიან შეძლებელია;

იგი პირველი გამოჩენილი  
ლაშკართა გუნდი ერთ-გვარეული,  
მძლავრ მეომარნი პირველ შეიქმნენ  
მურვანის ჯარში ღვთისგან წყეული.

ბანაკი ქონდათ იმა ჭყლის პირად,  
რომელსაც ქვიან აწ დღეს აბაშა,  
რომლის ტალღებმა მათი სიმძლავრე  
სამხრეთის მხრისკენ გაითამაშა.

ძვირფასი ეტლი, ტაიჭ-ცხენები  
იყვნენ იქ, საც დღეს ხენის-წყალია,  
რომლისა ძალამ მურვანის ჯარსა  
ზაღაუწყვიტა სამართალია:

Օյմճ, Տասწառուլ Ցեցարծամռսօ,  
ԱԾԿԱԾ ՔՇԵՈԼՈ, ՏԵԾԿՎԱ ԾԿԱՆՈ,  
ԾԿԱԾ ԳԱԾԱԿԵՎԱ ՄԵԵԼՈ ՔՎԵԿԱՆՉ:  
ՅԱԿԵ, ԾԿՎԱ, ՄԻՆԾՈՒՐ, ՑԵՐԾՈՒՑՔԱՆՉ

ՎԿԱԼՄԱ, ԱՃԱՇԱՑ ՄԱԼՍ ՑԱՆՑԱՑ  
ԸԱ ԾԱՌԾԿՎԱ ԵՎՈՍՈ ՏԱՑԼՎԱՐՈ,  
ՏՐՄԱԾ ԽԱՏԵՍԱՑ ԱՃԱՇՈԱՆՆՈ  
ՎԵՆԱ ԿՎԵԼԱ ԵՐՏԱԾ ԾԱԵՒՈՒՈ ՄԿՎԾԱՐՆՈ.

ՀԱ ԱՃԱՇՈԱՆՏ ԽԱՏԵՍԱՎԵՑՈ.  
ՈՒԱ ՄԾՈՒՆԱՐԵՑ ՄՇԽԾՈՆԱ ՈՎ ՄԴԵՐԾՈՒԾԼԱԾ,  
ՅՈՒԿՈՎՈՍ ՏԱԵՐԾԱԾ ՏՈՒԿՎԱ ԱՃԱՇԱ.  
ՅԱԿ, ՏԱՄԿԾԱՄՇՈԾ ԾԱԵՐԺՎԱ ՏՈՒԾԼԱԾ.

ԵՇԼՈ ՄԾՈՒՆԱՐԵ ԿՐԵՆՈՏ-ԾԿԱԼՈՏ ՏԱԼՈՑ  
ՎԱՌԼՈ ՄԵԵԼԱԾ ԵՒԼԵՑ-ԿՐԵՆԵՑՈ;  
ՈՒՐ ԾՐՈ ՈՎՄՆԱ ՄԱՐԲՄԱՆԵՑՑՔԵ  
ԵԿԵՍ ԾՐՈՎՏ ԾԱՐԾՎՆՈՏ ՇԵՏՎՈՆԵՑՈ.

ՀԱ ԵՒԼ-ԿՐԵՆԵՑՈ ՈՏՐԵ ԾԱՅԿԱՐՑԱ,  
ՑԵՐ ԽԱԵ ՎԵՐՎՈՒՆ ՄԱՏՈ ԿՎԱԼՈՒ,  
ՈՒԱ ԾԼՇՈ ՇԵՄԾԵՑ ՄԱՏԱԿ ՏԱԵՐԾՈ  
ԾԱՐԺՎԱ ԵՎԼԵԹԱ ԿՐԵՆՈՏ-ԾԿԱԼՈՏ.

რა მურვან ნახა უბედურება,  
ღვთისაგან მაზე მოწევნილია,  
თვისი წინათვე განზრახულება  
შო თავის პირით დაწყევლილია.

იგი შემთხვევა ყრუმ დაიბრალა,  
სთქვა: „რათ მოველო ამ ქვეყანასა;  
საიდგანაც, რომ გაჭივრების დროს  
3ერ ვახერხებდი სპით გაქცევასა?

შემდეგ აღიძრა და დაბანაკდა  
ცხუმის <sup>17)</sup> ქალაქში, შავის ზღვის პირად,  
სადაც რომ იქაც ძრისტეს მორწუნეთ  
ღლე დაუბნელა, გაუჩნდა ჭირად.

მაშინ მეფისა ვახტანგის ძენი,  
დიდ რაინდებად წოდებულები,  
ანაკოფიას ციხეში იყვნენ,  
მურვანის შიშით შემალულები.

მრთს ერქვა არჩილ, მეორეს დარჩილ,  
თუმც ვაჟკაცობით იყვნენ გმირები,  
მაგრამ თათრების სიმრავლისაგან  
შეიქმნენ სოდლად უაედურები.

შერცხვათ ის, რომე კინე ში ჯდომით  
ბადაერჩინათ მათა თავია, [ლი]  
ჰსოჭვეს: „რაღათ ვღირვართ, თუ მტერს ნაცვა-  
არა მივუზღეთ საქმე ავია!“

ბააღეს კარნი და გამოფიდნენ,  
ბურე სპით უწყეს წარმართებს ბრძოლა,  
ბულ-მედგრად ბრძოლნენ მტერს მუსრს ავ-  
ლებდნენ  
არ ჰქონდათ სრულებ შიში და ძრწოლა.

თუმც, რაც თვით იყვნენ მათი მხედრებით,  
ოცი იმდენი სპარსნი დახოცეს,  
მაგრამ ურიცხვმა წარმართთა ჯარმა  
ძრისტეს მსახურნი იქ სულ აღხოცეს.

უხუცესი ძმა პრჩილი მოკლეს,  
ხოლო დარჩილი ცოცხლად წავიდა  
და თვით იმავე ანაკოფიას  
ციხის კარებში კვალად შევიდა.

მურვან შემუსრა და აღაოხრა  
ციხე-ქალაქი ზღვის-პირისანი,  
გერ გაძლა სისხლით სანამდის არ ხვდა  
ხველრი მას მისი შავის დღისანი.

შეუჩერებლად ომობდა და თან  
იმგზავრა, ჩავლო ტლვის პირის არე,  
გასრისა ხალხი და აღაოხრა  
საქრისტიანოს ის ერთი მხარე.

როს მიახლოვდა ძონსტანტინეპოლს,  
მიადგა ერთგან უფსკრულსა ზღვასა  
არ ქონდა ნავი, არც ხმელეთით გზა,  
დადგა დაფიქრდა მცირესა ხანსა.

მუნ არს ზღა ვიწრო და უგუნურმა  
იფიქრა, ამას ქვიშით ავავსებ,  
ზღვაში გზას შევიქმ, ფეხით სავლელსა,  
ძონსტანტინეპოლს სრულად დავავსებ.

მაგრამ მეუფემ, ყოვლად მოწყალემ,  
შოვლის საქმის შემაძლებელმა,  
ცუდ ყო განზრახვა ურწმუნოისა,  
ცა და ქვეყნისა დამარსებელმა.

მწუხრის ჟამს იყო ყრუ უვნებელად,  
არა რა ჰქონდა სატკიფარია,  
მხოლოდ ქრისტიანთ მოსასპობელად  
მდვა ურწმუნოს გულში ჯავრია;

განთიადის ღროს მკვდარად იხილეს,  
საზიზლრად იყო სანახავია,  
დაკუნძულ მუხის ჯირკს მიუგავდა  
გასივებული კისერ-ოავია;

თვალები ალებრ გაწითლებოდა,  
პირიდან ჩირქი გაღმოდიოდა,  
მახლობლად ვერვინ ეკარებოდა,  
მყრალი რამ სუნი გაუდიოდა.

რა ეგრეთ ნახეს მურვანის ლეში  
შველამ მისმა სპამ ამყრალებული,  
შეშინებულნი გადაიხვეწნენ  
და ყრუ დასტოვეს მოძულებული.

---

Vl.

დაგეგა ჭ. დავითისა და პოსტანტინესი.



ოლო აწ გითხრა ამბავი იგი  
შმინდათა თავზე მოსავალია,  
ვით აღასრულეს მტარვალ-ჯალათთა  
მურვანის თქმული სამართალია.

ბრძანების თანხმად წაუძლვნენ ერთად  
და წაიყვანეს ორნივ ძმანია,  
მუნ მიიყვანეს საც მურვან უთხრათ,  
არ ჰქონდათ გრძელი შარა გზანია.

რიონის ანუ ფაზის წყლის პირად  
ტანს განაშიშვლნეს ორნივე ერთად,  
თავ-ქვე დაკიდეს, უწყალოდ ცემეს,  
ცხვირ-პირს ადინეს სისხლი წვეთ-წვეთად.

შემდეგ ჩამოხსნეს ბაწრით შეუკრეს  
ხელნი და ფეხნი გასანძრევია,  
პისერთ დაკიდეს ლოდნი მძიმენი,  
შეუძლებელი პსაწევია.

იმ დროს წმინდანნი თხოვდენ მტარვალებს  
მცირე დროებით დაცალებასა;  
რა მათ აცალეს, ჩაშინ ის, ყრმები  
უწყებდნენ გამჩენს შევეღრებასა.

თუმცა არ ეძლოთ თავის აღწევა,  
აღწილვა თვალთა ზეცად სამზერად,  
ურცა რა ქონდათ ძალი მუხლებში  
გეტანისა ჩოქვით საჭმნელად.

მს მისთვის იყო, რადგან ყელ-კისერს.  
ეკიდათ ლოდნი, დიდნი ქვანია  
და იმ ლოდების ანძრევ-დანძრევას  
ვერ ტვირთულობდა მათი ჯანია.

ხოლო გულითა ლვთის-მოყვარითა.  
და მხურვალისა ცრემლთა დენითა  
წალადყვეს გამჩენს და შეევედრენ  
მიწაზე იყვნენ თავ დაბჯენითა.

ჰსთქვეს: „მაცხოვარო, ყოვლად მოწყალევ,  
ქვეყნად შობილო ძეო ლვთისაო,  
ჩვენთვის ტანჯულო და გამომხსნელო  
ჯოჯოხეთიდან ცოდვილისაო;

„ვითა გვისმინე პირველი თხოვნა  
და ლირს მყვენ ცოცხლად ჩვენს წამებასა,  
მოგვეც მოთმენა ყოველის ზომით,  
ბულ-მედგრად შევხვდეთ დიდ წვალებასა,

„არ მიგვიხედავს ფუფუნებისა  
და ამ სოფლიო ცხოვრებისათვის,  
არად ვაგდებდით ჩვენს ტანჯვა-გვემას.  
შენისა წმინდა სახელისათვის.

„**აწ** კა ისმინდ ჩვენი ვედრება—  
**და** გადმოგვხედე გულ-მოწყალებით,  
შითა სიცოცხლეს შენის მწეობით  
ჩვენ ვატარებდით კაცთ-მოყვარებით.

„**მგრეთვე** შემდეგ ჩვენის სულ-ხორცის  
ურთი-ერთთასა მოშორებისა  
ჰყავ გვამნი ჩვენნი დაუვიწყარი  
**და** სახილველი ყოვლის ერისა.

„**შეგვქმენ** განუხრწნელ-დაურღვეველი.  
**და** მოციქული მთხოვნელისათვის,  
რომ გვეძლოს ხალხში ჭეშმარიტება  
განვმარტოთ შენის სახელისავთის.

„**რომელთაც** ხადონ ჩვენი სახელი  
**დაგვსაქმონ** შენთან მოციქულობა,  
ზულს ალმოიფხვრან ურწმუნოება,  
**სცნონ** შენი დვილრ დიდებულება:

„**მოწყალე** ეყავ, მიეც შენდობა,  
ჩარიცხე შენსა სწორ მორწმუნებში,  
განკითხვის დროზე სასჯელს ნუ მისცემ  
თუნდ დღე დაეყოსთ მუდამ ცოდვებში.

„ბუამნი ჩვენი ყავ სნეულთა მკურნალ,  
შძლურ, კეთროვანთ<sup>18)</sup> მომრჩენელია,  
რომ მით მიიღონ მათ სასოება  
და იქმნენ შენი მდიდებელია!“

ამის შემდგომად პითქვეს: „მაცხოვარო,  
შენ ხელთ გაბარებთ ორნივე სულსა,  
რომლებიც ამ წამს მტარვალებისგან  
ველით სიცოცხლის დღის აღსასრულსა“.

მაშინ მოისმა ხმა ზეცისაგან:  
„ვარ, რაც გსურსთ, ყოვლის ამსრულებელი,  
ვინც თქვენ რასმე გთხოვსთ კეთილი გულით,  
ვიქნები ყველას შემსრულებელი!“

მგე ხმა როგორც ორთა წმინდანებს,  
მგრე ესმოდა ყოველსა ერსა,  
მაგრამე თურქნი გულ ურწმუნონი  
ვერას იქმოდნენ სხვას ვერასფერსა;

წმინდანნი უცბად ტბაში ჩაჰყარნეს,  
ჩქარიაბდნენ, მეტად შეშინებულნი,  
და მთრთოლვარენი ზეციურ ხმითა  
ბალაიხვეწნენ შეძრწუნებულნი.

ხოლო მას ლამეს ზენა-არსიდგან  
მოხდა დიდებულ სასწაულია,  
სამნი უმანკო მნათობნი სვეტნი  
იქმნენ ზეციდგან გაღმოსრულია.

დაადგნენ მას ტბას, საც წმინდანები  
ჩაყრილი იყვნენ მტარვალებისგან,  
და გაანათეს ის ბნელი ლამე  
მათისა შუქის ბრწყინვალებისგან.

მაშინ განეხსნეს ოგი საბელნი,  
რაც ხელ-ფეხთ ჰქონდათ იმ წმინდანებსა,  
და მოეძარცვნენ<sup>19)</sup> ლოდნი ქედთაგან  
განგებისაგან ართავე ძმებსა.

და გთის სასწაულით უსულო ტბამან  
იტვირთნა გვამნი წმინდანებისა  
და გააჩერა მაღლა, თანასწორ  
საც სვეტი იდგნენ ბრწყინვალებისა;

და ისინიცა მეტად ბრწყინავდნენ,  
პითა მთიები<sup>20)</sup> განთიადისა,  
ლამპარს ბნელს ყოფდა მათი სხივები,  
ნამის რომ მზისა შუქთა გვანდისა.

ხოლო როდესაც ურწმუნოთაგან  
წმინდანნი იყვნენ შეკოჭილები.  
მაშინ მათთანვე კეთილ მორწმუნე  
ორი სხვაც იყვნენ შეპყრობილები,

რომლებიც მუდამ წამში უმზერდენ  
რაც წმინდანებსა ჰქონდათ წვალება  
მსმოდათ მათი ყოვლი პასუხი,  
შრჩ-ყოფა და არ თავ შებრალება.

ისინი დროსა წარმართთ წასვლისას  
იყვნენ გაქცეულ მიფარებულნი,  
მოშორებულად ტყიდან უჭვრეტდენ.  
შრწმუნოთაგან შეშინებულნი.

იყვნენ შემოსილ ყოველი. წესით  
მაჰმაღიანთა სამოსელითა  
რის საშვალებით გაპარულიყვნენ  
მტარვალთ ხელთაგან მოლორებითა.

როგორც კი ნახეს ლვთის სასწაული,  
საჩინო სვეტნი საკვირვებელი  
და ბრწყინვალება იმა ნათლისა,  
თაყვან საცემი, საგალობელი;

თან წმინდანები, რომლებიც ტბაში  
მზის სხივის დარად ანათებდიან;  
ღვთის სიყვარულით გულ-ავსებულნი  
მივიღენ ნათელს თაყვანს ჰსცემდიან.

შემდგომად ორნი სხვაც გამოვიდნენ  
დაბურულ ტყიდან დამალულები,  
რომლებიც იყვნენ წმინდათა ერის,  
თათრების შიშით განრომილები; <sup>21)</sup>

და რა იხილეს ნათელი სხივნი,  
რომელნიც სვეტით გამოკრთებოდნენ,  
მივიდნენ ახლოს, ცნობის მსურველნი,  
და გარკვევითა აკვირდებოდნენ.

იმ ღროს შეხედეს იქვე მდგომარეო  
ორთა წელან თქმულთ ძეთ ქრისტიანთა,  
რომლებსაც ეცვათ ტანის საცმლები  
პითა გიამბე აგარიანთა. <sup>22)</sup>

გაკრთენ, <sup>23)</sup> გაიჭიენ, მისთვის რადგან, რომ  
იქ მყოფნი იყვნენ თათრულ ცუმლობით,  
მგონათ თურქნი, ღვთის ურწმუნონი  
და გულ სავსენი უწმინდურობით.

ხოლო მათ იცვნეს და დაუძახეს:  
„არა ვართ მტერნი, ნუ შეშინდებით,  
ვხრთ ქრისტიანნი, ძმათ მოყვარულნი.  
სანამ საფლავში არ დავმიწდებით.“

„აწ აქვე მოდით და ნახეთ ერთად  
ორნივე ძმანი მთავრის შვილები;  
შმინდანნი დავით და ძოსტანტინე,  
ურწმუნოთაგან წამებულები.“

„ჩვენგან გაიგეთ ყოველი მათი  
გარდანახადი სატანჯველია,  
ვითა შეიქმნენ მაცხოვრისათვის  
ტანჯვის ატანის შემძლებელია.“

ხოლო მათ შიში გულთგანიშორეს,  
მოვიღნენ, იცვნეს მუნ ურთი ერთი  
და მოიკითხეს ერთი მეორე,  
აღიდეს გულით ზენარი ღმერთი.

დამძახებელმა აუწყეს ყოვლი  
შმინდათა, თავზე გარდახდილია  
და თაყვანი ჰსცეს ყველამ წმინდანებს.  
ყვლის ნაპირიდან დაჩოქილია.

მოხივემ ერთად გულთ განიზრახეს  
შმიღათა გვამთა მპატრონობლობა,  
მაგრამ ადგილი ვერ აღარჩიეს,  
სად ექმნათ მათი დამარხულება.

იმ დროს ძლევითა კაცთ მოყვარისა  
ზენაარსისა მოწყალებითა,  
მოესმათ იმა ნათლიდგან თქმული  
მათ მოისმინეს ყურადღებითა:

„აღილეთ გვამნი ამ წმინდანების  
და წაასვენეთ აღმოსავლეთით,  
ტყით იმგზავრენით და საც მოგისწროსთ  
სინათლემ დღისამ, იქ დაკრძალენით,<sup>24)</sup>

რამეთუ ესრეთ არის ბრძანება.  
დვოისა ზენარის, კაცთ მოწყალისა,  
რომ მუნ დრომდისა დაფარულ იყოს  
გვამნი ამ ორთა ძმათ წმინდანისა“.

ხოლო რა იმ ოთხს ესმათ ხმა ესე,  
თქმული მათ თავზე დვოის ბრძანებისა,  
იმა დროს ტბისა შუა გულს იყვნენ  
მნათობნი გვამნი წმინდანებისა.

განკვირდეს კაცნი, იმ ხმის სმენაზე  
და აღიდებდეს ლმერთს — შემოქმედსა,  
შემდეგ ნასმენის აღსრულებისთვის  
ეტყოდნენ სიტყვებს სწრაფლ ურთი-ერთსა.

ჩავიდნენ ფეხით საშიშ ლრმა ტბაში,  
მაგრამ კოჭამდის არ სველდებოდნენ,  
რა ხმელეთის დარ წყალში მგზავრობდნენ,  
იმ ლვთის სასწაულს აკვირდებოდნენ.

შიშით და ძრწოლით მივიდნენ ახლოს,  
ცერემლის ლვრით გამჩენს მადლი შესწირეს,  
და ჩვეულებრივ მხურვალე გულით  
გვამნი დამრჩვალთა სწრაფლ მოიტირეს.

ტირილის შემდეგ ემთხვიენ გვამებს.  
ბოლოს ორივე ერთად აღიდეს,  
ვითა ბრძანება ესმათ ნათლიდგან,  
აღმოსავლეთის მხრისკენ წარდეს.

ხოლო რა ღამე იგი გათენდა,  
გადაეშორა ქვეყანას ბნელი,  
ნახეს აღგილი, საც წყეულ მურვანს  
ექმნა საქმენი საზარო ძნელი:

ადგილსა ერქვა მას წყალ-წითელა,  
საც იყო წინეთ ციხე ქალაქი,  
და შიგ ცხოვრობდნენ ხალხი მრავალნი,  
ძონდათ სიმღიდრის დიდი ბარაქი.

ბაგრამ ურწმუნოთ ხდლხი მოესრათ,  
ფული, სიმღიდრე წაეღოთ სრულად,  
შენობა ქალაქ, ციხე, საყდრისა  
არ დაეტოვნათ მუნ აღმართულად.

იყო უკაცურ იგი ქალაქი  
და უპატრონოდ გოხრებული  
ჟაყდარი დამწვარ, ზღუდე დაშლილი  
მთელი მიღამო გავერნებული.

ნასაყდრის ქვეშე სამარხი იყო  
და აკალდამა ეწოდებოდა  
მაგრამე მაში არ ოცეს მკვდრისა  
ვერფლირ არ ვისჩ იმყოფებოდა.

იმავე ადგილს დაკრძალეს გვამნი  
ჭმინდათა იმა მოწამეთანი  
და მუნვე იყვნენ დაფარულ სანამ  
არ იქნა უფლის ღვთის ბრძანებანი.

რა განვლო ხანმა, საუკუნება  
და დაჯდა ივერს მეფე ღვთიანი,  
ბაგრატოვანი, დიდი ბაგრატი,  
მორქმული, ლალი სიტყვა-წყლიანი.

ნახა სიზმარი: „ამოასვენე  
მთავრის შვილები წამებულები,  
და ჰყავ სააჯმნოთ<sup>25)</sup> რომ თაყვანს ჰსცემდენ  
მათ ყოველ ღარიბ, დიდებულები“.

ამ სიზმრის შემდეგ მეფე ალიძრა,  
სულის წმინდისგან შეგონებული  
და მალე შექმნა კვლავ იმავ ადვილს  
ტაძარი იგი ალშენებული.

აღმოასვენა საფლავისავან  
წმინდათა გვამნი დაკრძალულები,  
დაღვა ტაძარში ხალხთ სახილველად  
ორნივე ერთ კუბოს ჩაწვენილები.

აწერა არიან იმ მონასტერში  
მდებარე გვამნი წმინდანებისა,  
რომელთაც სრულ აქვსთ მინიჭებული  
სახელი დიდის მოწამებისა.

Յոտա օտեռազգքս մյշոցու մոյր,  
Յատ մոյնովատ օգո պատլցիքիք,  
Ռազուտ ժլցանո եալթե մոնիւլցուլո  
Թուրոյնուլոծու Շյժլցիքիք,

Յոնց գուլուտա, ցա՞մենդուլուտա,  
Մակմանոցիքու լամբուլցուլու,  
Քյամարությունու ժրուտյու մոնցարյ,  
Ծորությունու Շյմժլցիքիք;

Յուզալս օմ Քամարս ֆմինդանցիքուսաս,  
Ֆյեսեռազ ֆմինդատա լուլցիքիքաս,  
Յուլցիք լատուցան լուլցու Շյնդունաս  
Ըս սյլույրսա ալորմոնցիքաս.

Ամաստանազ պազցուլցար և նյշուլս,  
Մակմանուրս և սեզա և սեզա սաբկուրությունուտա,  
Քյութս և կյտեռանս, Քյութս Շյմլուլս,  
Վամեդարս սաբանու լուլու զնյիքիտա:

Թալցուատ մատցան Քանու սամրուլց,  
Ցանկուրնցիքիք ցամրունցիքիքուն,  
Հոմելնու, զոտա հիզեն նյըմուն զովչուտ,  
Ցուլ-սինուրաց մոյն մատ ութուրցիքուն.

შამება იყო წმინდანებისა  
შვიდას ორმოცდა მეცხრესა წელსა  
იმ დღის რიცხვიდან, როს ქვეყნის მხსნელად  
დე ლოტის ეშობა ძედ ლოტის-მშობელსა.

ხოლო ყოველთა სახილვებელად  
ცხრას ოთხმეოც და მეხუთესა,  
ჰყვნა, ბაგრატ გვამნი წმინდანებისა  
და დაასვენა მას სავანესა“.

ამის შემდგომად კვლავ ჰსთქვა ფრთოსანმა:  
„ღრომდის მშვიდობით იმყოფებოდეთ,  
მე მამა ღმერთს ვსთხოვ, რომ დღეს შემდეგ  
თქჩენც სწორ მორწმუნეთ ჩაითვლელოდეთ“.

რა ესე თქმული ყრმამ, იმ ფრთოსანმა  
ამავე სიტყვით დააბოლოვა  
შჩინარ იქმნა და მარიამი  
ლოგინს დამჯდარი შუნ მიატოვა.

IV.

დასასრული ამბავი ქალწულთა ჯორ-  
ჯაძეთა.



აშინ ნინომაც გამოიღვიძა,  
ღისგან მიზეზის მიუცემლად,  
ნაძრნარევა დაფრთხა, რაღანც და  
ნახა დამჯდარი, დაუწოლელად.

**მ**ერე ჩაკითხა: „ჩემო დაიკო,  
სიზმარი ხომ არ მოგლანდებია?  
ან რას აკეთებ, ტყვილა რომ ჰიხარ,  
ჰსოდე, სახე რისთვის გაგწითლებია?“

მარიამ უთხრა ამ გვარ სიზმარი  
არ ვეჭვ თუ ვისმე დაზმანებია;  
**მ**ე კი უნდა ვსოდე, რომ ჩემს აღზრდაში  
გეთი არა გამხარებია“.

ნინომ კვლავ უთხრა: „მითხარ გენაცვა,  
რაში არს შენი მხარულება?  
რა ნახე, ანუ რა მოგეჩვენა,  
**მ**კვდრის თუ ცოკხლების დიდებულება?“

მარიამ ნინოს თავით ბოლომდის  
უამბო თქმული ფრთისანის ყრმისა.  
რისგანაც ორნივ იმ აზრზე დადგნენ,  
დაჰკარგეს ნდობა აქ ყოვლის ფრისა.

აღაპყრნეს ხელნი, ღმერთი ადიდეს,  
ჰსთქვეს: „მაცხოვარო, ჩვენთვის ჯვარცმულო,  
და ღვთის-მშობელო, ყოვლის მოწყალევ,  
შენ უბიწოვო დედავ ქალწულო!

„მოგვეც ჩვენ ძალი და მოწყალება,  
რომ ვსძლიოთ სოფლად ბოროტ ცხოვრებას,  
განვიქროთ გულში ყოველი შური  
და მით ველოდეთ თქვენგან ცხონებას“.

რა ორ გზის, სამ გზის ეს განიმარტეს,  
ჰსთქვენ: „ნეტარ იმას ყოვლად ბედნიერს,  
ვინც გაუსვრელად გამოშორდება  
სოფლად სიცოცხლეს და ცოდვილი ერს;

„მწედ ეყოლება მოწამეები  
და შეავეღრებს ვამა-ზეციერს,  
სასუფეველში სწრაფლად აღაფრენს,  
იქ მოუპოვებს სამყოფს წესიერს“.

ამის თქმის შემდეგ კარს გაიხედეს,  
ნახეს: მზე მაღლა ამოსულიყო,  
და მამა მათი წასვლის მსურველი  
წინა სარბენზე გამოსულიყო.

ადგნენ, მივიღნენ, ჰსთხოვეს: „მამილო,  
ვართ ორნივ თქვენი მვედრებელია,  
რომ არ გეწყინოს, ისრე თრივეს  
იქმნე დღეს ჩვენიც წამყვანელია“.

მამამ მიუგო: „კი, ჩემო მტრედნო,  
ვარ თქვენის თხოვნის ამსრულებელი,  
მოემზადეთ და ახლავ წავიდეთ,  
არა-გვაქვს რამე დამბრკოლებელი“.

დილით საათის ათი შესრულდა,  
ეგ თრთავ დანი ქალიშვილები  
ტკლესიაში ისმენდნენ წირვას,  
წმინდანების წინ დაჩოქილები.

ვითარცა გვამნი, ეგრეთ სურათნიც  
მუნ წმინდანების დახატულია,  
ნახეს ილოცეს. შემდეგ გაშალეს  
სუფრა, საჭმლებით გავსებულია.

დასხლნენ მამასთან, ჭამადს შეექცნენ,  
პირთ ეტყობოდათ სიხარულია  
და ვინ იცოდა, თუ მათვის უფალს  
რა ჰქონდა გულში განზრახულია.

ოოტა ხნის შემდეგ ზეზე აიჭრნენ,  
დატოვეს მამა დასვენებული  
და ორთავ დანა წყალ-წითელისკენ  
იქმნენ ნელ-ნელა გამგზავრებული.

მივიდნენ ტბასთან საც ჯოჯოხეთა  
უხსოერის დროდგან ჰქვიან სახელად,  
მორიდებულად ტანთ გაიხადნენ  
და შიგ ჩავიდნენ საბანებელად.

თუმც წყალ წითელა ახირებული  
უბრალო ღელის მსგავსი წყალია  
და გვალვის დროზე ბავშვებისთვისაც  
არ არის ძნელი გასავალია.

შაგრამ, ლვთის ძლევას რა არა ძალ უძს,  
იგი ყოვლისფრის შემძლებელია,  
შოვლი ქმნილება მისგან არსებობს  
და მისგანვე აქვს დასასრულია.

როგორც ჩავიდნენ, ნინომ შეხედა.—  
მარიამ ტბაში იძირებოდა,  
ხელი მოკიდა და საშველებლად  
ტბის ნაპირისკენ ეზიდებოდა.

მონდომილ იყო სულით და გულით.  
ეშველებია უმცროსისათვის  
და არ მიეცა დასახჩობელად  
საყვარელი და შავის-ტბისათვის;

მაგრამ, ორთავე ერთად დაიხვნენ,  
ნინო უმცროსის შველებისათვის,  
ქლდის გულის მქონე კაცაც არ ეძლო  
ეგზირა მამის ვაებისათვის.

მეორე დღესა წამოასვენა,  
სურდა თვისივე ქვეყნად წიელო  
და კაეშანის მოსაქარვებლად  
ტირილით სევდა გულს ამოელო.

რა ძუთაისის ახლოს მოვიდა.  
პიბულას წყაროს-პირს დაისვენა,  
მუნ შეაჩერა თვისი მხლებელნი,  
ზვილთა კუბონიც იქ დაასვენა;

„**უცბად** იფიქრა და მსწრაფლ წარმოსთქვა:  
„**დახედეთ** ჩემსა უგუნურებას,  
„**ამ** სოფლად რაც მჭირს დღეს, ეს მეყოფა,  
**სულსაც** ვით ვაძლევ უბედურებას:

ჩემმა შვილებმა სად დაასრულეს  
ამ წუთის სოფლად ცხოვრება მათი  
და მე სად მიმყავს! ჭკუა დაბნეულს,  
ამათ ვამო მჯობი რაღათი.

„**ადგილზე** იყვნენ საც წმინდანები  
არიან, დიდი მოციქულები,  
„**მუდამ** მდგომელნი მამა უფლის წინ  
შოველ საქმეში შეძლებულები;

„**სწეულთ** მკურნალნი, ცოდვილთ მშველელნი,  
„**დვთისგან** შენდობის მოპიოვებელნი;  
„**და** ვინც კეთილის გულით რასმე ჰსობესთ  
შოველივესი აღმსრულებელნი.

„**ამასთანავე** იქვე დადიან  
„**ხალხნი** სხვა და სხვა ქვეყნებისანი  
„**შოველნი** ნახვენ ჩემს თვალის დამვსებთ,  
„**მთქმელ** იქნებიან შენდობისანი“.

ეს პითქვა თუ არა, უკუაბრუნა  
იმავ სავანეს წმინდანებისას,  
და მსწრაფლ შეუდგა იქ დამარხვისთვის  
ზანკარგულებით შოვას ნებისას.

იშოვა ნება, დასაფლავა,  
დაადგა ძეგლი ვამოსაჩენი,  
ოთხ სვეტიანი, თაღით შეკრული,  
შორ მანძილიდგან თვალით საჩენი.

შვეშ იატაკი ქვისა, გათლილი,  
სამს მხარეს ზღუდე შემოვლებული  
და მეოთხე მხრივ კარი გახსნილი  
ხალხთ შესასვლელად მომზადებული.

სამხრეთის მხრივ ზღუდეს კედელზე  
მარმარილოს ქვა დაშენებული,  
რაზეც მსურველნი წაიკითხავენ,  
ვისთვის არს ძეგლი აღშენებული.

(დასასრული)

## შეიცვლები, რომელგიც ნაჩვევებია ჭირა

### გვარდები:

1. ფაზი არის მდინარის რიონის სახელი, რომელიც ჩა-  
მომდინარეობს ქ. შუთასში.
2. ნელ საცხებელი—მირონი.
3. ძურუმი—კერპთა მღვდელი.
4. აღჭურვა, შეარალება საომარის იარალით.
5. დილიჭი, დიდებულთა ანუ მეფეთა საჯდომი ტახტი.
6. ბვემა, ცემა, რტყმევა.
7. ურანი, რჯულის წიგნი თათრების როგორც ქრის-  
ტიანთა სახარება.
8. სავანე არის ეკკლესია ანუ უდაბნო.
9. ჭამალი არის საჭმელი.
10. დესპანი, არის მოციქული, მეფისაგან გაგზავნილი  
კაცი ვისმესთან, შუათმავალი.
11. მისანი წინა მთქმელი მომავალი საქმისა, მარჩიელი.
12. ნიჭი, საჩური, ჯილდო, მადლი, ძალი ზეგარდამოსი  
გულის ხმიერობა.
13. ულმობელი, უწყალო, შეუბრალებელი, გულის შე-  
უმტკივნებელი.
14. ფისონი არის მდინარე რიონის ძველი სახელი.
15. ძუჯს, ეძახოდნენ მანემდის მეგრელიის მთავარს, და-  
დიანს.
16. ბანაკი, გუნდი, ლაშქარი ან ლაშქართა სადგური  
შინა ურდო.

17. ცხუმი, ძველი სახელი სოხუმის ქალაქისა.
18. ქეთროვანი. ავათმყოფი, მუწუკებიანი.
19. მოძრუა, მოხდა მოხსნა, მოგლეჯა.
20. მთიები, განთიადის ვარსკვლავები.
21. ბანრომა, გაქცევა, თავის შველა, მოშორება, გაღარჩენა.
22. აგარიანი, თათარი, მაჭმალის სარწმუნოების.
23. ბაქრთომა, შეშინება ანაზდალ.
24. დაკრძალვა, დამარტება, დასაფლავება.
25. საჭმინო, საქვეყნოთ სამშერი, ყოვლის კაცისათვის სახილეველი.

894. 63

გ 221

## 03ლიანე ხეთერლის წიგნის მაღაზი.

## გამოცემა:

- |   |
|---|
| 1. „ზარნაშო“ ვახელისა (ლეგენდა) ფასი 15 კაპ.                                    |
| 2. „ქნარი“ რჩეულთა ლექსთა კრება „ 20 „  |
| 3. „ნდომა“ . . . . . 5  |
| 4. „წამება წმიდათა დაცვით და ძონსტანტინების და ქალწულთა პორჯაძეთა ამბავი „ 15 „ |

ბევრის მყიდველს დაეთმობათ  $25\%$ . აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული სახალხო და სამოსწავლო წიგნები, რვეულები, ყარანტაშები, კალმის ტარები და სხვა და სხვა საკანცელარიო ნივთები ზომიერ ფასათ.

მაღაზია იმყოფება ქუთაისში თეთრ ხიდთან, თ.  
ბ. ჭერეთლის სახლებში.

ვოსტის აღრესი: Кутаисъ, Книжный магазинъ  
Хетерели.

ფასი სამი გაური.